საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №19/ნ

2012 წლის 26 იანვარი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ხელშეკრულებების საფუძველზე გაწეული მომსახურების საფასურის დამტკიცების შესახებ

,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ტ[4]" ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ხელშეკრულებების საფუძველზე გაწეული მომსახურების საფასური შემდეგი ოდენობით:

1.1. ვებსაიტის ჰოსტინგი და მომსახურების სერვისები:

ა) ვებგვერდების ჰოსტინგი (ყოველთვიური გადასახადი):

ა.ა) 3გბ –10 ლარი

ა.ბ) 5 გბ – 20 ლარი

ა.გ) 20გბ – 50 ლარი

ბ) სერვერების/ბაზების ჰოსტინგი (ყოველთვიური გადასახადი):

ბ.ა) 5გბ – 40 ლარი;

ბ.ბ) 15 გბ – 50 ლარი;

ბ.გ) 30 გბ – 75 ლარი;

ბ.დ) 100 გბ – 150 ლარი;

ბ.ე) 300 გბ – 300 ლარი;

ბ.ვ) 500 გბ – 375 ლარი;

ბ.ზ) 1000 გბ – 500 ლარი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 31 იანვრის ბრძანება №05/ნ - ვებგვერდი, 01.02.2013წ.

1.2. ცენტრალური კომპიუტერული ქსელის მომსახურება (ყოველთვიური გადასახადი) – 500 ლარი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 31 იანვრის ბრძანება №05/ნ - ვებგვერდი, 01.02.2013წ.

1.3. ინტერნეტპროვაიდერული მომსახურება (ყოველთვიური გადასახადი):

ა) 1 მბ/წმ – 65 ლარი;

ბ) 2 მბ/წმ – 150 ლარი;

გ) 5 მბ/წმ – 325 ლარი;

დ) 10 მბ/წმ – 750 ლარი;

ე) 20 მბ/წმ – 1500 ლარი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 31 იანვრის ბრძანება №05/ნ - ვებგვერდი, 01.02.2013წ.

1.4. საკომუნიკაციო ქსელის (VoIP) მომსახურება (ყოველთვიური, სააბონენტო გადასახადი)

ა) იურიდიული პირებისათვის (გარდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა) – 500 ლარი;

ბ) სსიპ – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – 5 ლარი - ერთ ნომერზე;

გ) კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის/სკოლებისათვის – 10 ლარი - ერთ ნომერზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 31 იანვრის ბრძანება №05/ნ - ვებგვერდი, 01.02.2013წ.

1.5. ადგილობრივი კომპიუტერული ქსელის მომსახურება (ყოველთვიური გადასახადი) – 700 ლარი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 31 იანვრის ბრძანება №05/ნ - ვებგვერდი, 01.02.2013წ.

1.6. პერსონალური კომპიუტერის მომსახურება (ყოველთვიური გადასახადი თითო კომპიუტერზე) – 25 ლარი.

1.7. მონაცემთა ბაზის ადმინისტრირება – (ყოველთვიური გადასახადი) 600 ლარი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 31 იანვრის ბრძანება №05/ნ - ვებგვერდი, 01.02.2013წ.

1.8. საინფორმაციო ტექნოლოგიური მხარდაჭერის სერვისის საფასური იმ სსიპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, რომლებსაც გააჩნიათ 30-მდე პერსონალური კომპიუტერი – (ყოველთვიური გადასახადი) 190 ლარი.'

1.9. საინფორმაციო ტექნოლოგიური მხარდაჭერის სერვისის საფასური იმ სსიპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, რომლებსაც გააჩნიათ 31 და მეტი პერსონალური კომპიუტერი – (ყოველთვიური გადასახადი) 380 ლარი.

1.10. საინფორმაციო ტექნოლოგიური მხარდაჭერის სერვისის საფასური იმ კერძო სამართლის სამეწარმეო, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ზოგადსაგანმანათლებლო ან კერძო სამართლის სამწარმეო, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის პროფესიული სწავლების ცენტრის/პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის, რომელთაც გააჩნიათ 30-მდე პერსონალური კომპიუტერი – (ყოველთვიური გადასახადი) 300 ლარი.

1.11. საინფორმაციო ტექნოლოგიური მხარდაჭერის სერვისის საფასური იმ კერძო სამართლის სამეწარმეო, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ზოგადსაგანმანათლებლო ან კერძო სამართლის სამეწარმეო, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის პროფესიული სწავლების ცენტრის/პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, რომელთაც გააჩნიათ 31 და მეტი პერსონალური კომპიუტერი – (ყოველთვიური გადასახადი) 600 ლარი.

1.12 საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის პროგრამით სარგებლობასთან დაკავშირებული მომსახურება (ყოველწლიური ღირებულება).

ა) კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის (გარდა სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა):

ა.ა) 100 მომხმარებლამდე – 70 ლარი;

ა.ბ) 101 – 300 მომხმარებელი – 60 ლარი;

ა.გ) 301 – 1000 მომხმარებელი – 50 ლარი;

ა.დ) 1001 – 5000 მომხმარებელი – 40 ლარი;

ა.ე) 5000 მომხმარებელზე მეტი – 30 ლარი;

ბ) ადმინისტრაციული ორგანოებისა და სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის:

ბ.ა) 100 მომხმარებლამდე – 50 ლარი;

ბ.ბ) 101 – 300 მომხმარებელი – 40 ლარი;

ბ.გ) 301 – 1000 მომხმარებელი – 30 ლარი;

ბ.დ) 1000 მომხმარებელზე მეტი – 20 ლარი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №215/ნ - ვებგვერდი, 27.09.2012წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 31 იანვრის ბრძანება №05/ნ - ვებგვერდი, 01.02.2013წ.

1.13. ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის პროგრამით სარგებლობასთან დაკავშირებული მომსახურება თითოეულ მომხმარებელზე (ყოველწლიური ღირებულება) – 10 ლარი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 26 მარტის ბრძანება №68/ნ - ვებგვერდი, 28.03.2012წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 29 მარტის ბრძანება №72/ნ - ვებგვერდი, 02.04.2012წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №215/ნ - ვებგვერდი, 27.09.2012წ.

1.14. სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთათვის ელექტრონული ტესტირების ჩატარებისთვის სპეციალური პროგრამების ინსტალაცია და შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა ტესტირების პერიოდში – თითოეული გამოსაცდელი პირის ერთ საგანში ტესტირებისთვის მომსახურება – 0,30 ლარი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 30 მაისის ბრძანება №58/ნ - ვებგვერდი, 06.06.2013წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 29 ოქტომბრის ბრძანება №163/ნ - ვებგვერდი, 29.10.2013წ.

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დ. შაშკინი

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 26 მარტის ბრძანება №68/ნ - ვებგვერდი, 28.03.2012წ.

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 29 მარტის ბრძანება №72/ნ - ვებგვერდი, 02.04.2012წ.

3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №215/ნ - ვებგვერდი, 27.09.2012წ.

4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 31 იანვრის ბრძანება №05/ნ - ვებგვერდი, 01.02.2013წ.

5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 30 მაისის ბრძანება №58/ნ - ვებგვერდი, 06.06.2013წ.

6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 29 ოქტომბრის ბრძანება №163/ნ - ვებგვერდი, 29.10.2013წ.